# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№10 (41) 2014


## თსუ-ს ახალი აკადემიური საბჭო ჰყავს

***21 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს რიგით მესამე არჩევნები გაიმართა. აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის მართვის მთავარი, კოლეგიალური ორგანოა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს იღებს. ეს გადაწყვეტილებები ძირითადად უნივერსიტეტის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. საბჭო ხელმძღვანელობს აკადემიურ საკითხებს, დაწყებული რექტორის არჩევნებით, დამთავრებული ცალკეულ ფაკულტეტზე პროფესორის არჩევნებით.***

კენჭისყრა შვიდ უბანზე 10.00 საათიდან 17.00 საათამდე მიმდინარეობდა. აკადემიური საბჭოს წევრად თითო ფაკულტეტიდან ორ-ორი კანდიდატი აირჩა. სულ შვიდი ფაკულტეტიდან - 14 წევრი. თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიამ 19 კანდიდატი დაარეგისტრირა. აკადემიური საბჭოს წევრებს ფაკულტეტების აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტების საბჭოების შემადგენლობაში მყოფი სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატები ირჩევენ. აკადემიური საბჭოს წევრად ფაკულტეტიდან არჩეულად 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი ითვლება.

თსუ აკადემიური საბჭოს რეგლამენტის თანახმად, აკადემიური საბჭო არის უნივერსიტეტის კოლეგიალური, აკადემიური (საგანმანათლებლო – სამეცნიერო) საქმიანობის მართვის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც არჩეულია თავისუფალი და თანასწორი საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის დაცვით; საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლით; აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორის, ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი. აკადემიური საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა; არჩევიდან 2 წლის გასვლის შემდეგ აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლდება ერთი მესამედით (5 წევრი).

6 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ბრძნებით შექმნილი კომისიის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების შემაჯამებელი ოქმის თანახმად, არჩევნების შედეგად აკადემიური საბჭო ასეთი შემადგენლობისაა: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: პროფესორები როლანდ ომანაძე და შოთა სამსონია; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: პროფესორები რამაზ ქურდაძე და ნანი გაფრინდაშვილი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: პროფესორები მარიამ გერსამია და გიორგი გოგსაძე: ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: პროფესორები ქეთევან ჭკუასელი და თამარ აბაშიძე; ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი: პროფესორები ქეთევან მარშავა და ავთანდილ სილაგაძე; მედიცინის ფაკულტეტი: პროფესორები გიორგი გალდავა, და თენგიზ ცერცვაძე; იურიდიული ფაკულტეტი: პროფესორები ნუგზარ სურგულაძე და მაია კოპალეიშვილი.

გაგრძელება მე-2 გვ.

## ნატოს ევროპული ძალების მთავარსარდალი თსუ-ში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნატოს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაური ფილიპ ბრიდლავი ეწვია. გენერალი თსუ რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საწავლებლის სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე ფილიპ ბრიდლავმა ნატოს პოლიტიკაზე, საერთაშორისო გამოწვევებზე, გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე, ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობაზე ისაუბრა.

„საქართველო ნატოს ღირსეული პარტნიორია ავღანეთში და ის მომავალშიც გააგრძელებს ნატოსთან ერთად ავღანეთში უსაფრთხოების მისიას. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ რას მივაღწიეთ უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთობლივად და რა უნდა გავაკეთოთ, რომ მოვემზადოთ მომავლისთვის,“- აღნიშნა ნატოს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა ფილიპ ბრიდლავმა.

„ნატოს მაღალი თანამდებობის პირის გენერალ ბრიდლავის მოსვლა ჩვენი უნივერსიტეტისთვის და ქართველი სტუდენტებისთვის იყო

გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ – ტარტუს უნივერსიტეტის ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოდან

წყნარი, მყუდრო და სუფთა ქალაქი, რომლის ყოველი მეოთხე მაცხოვრებელიც სტუდენტია. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილიდან კი უმეტესობა, პირდაპირ თუ ირიბად, უნივერსიტეტთან დაკავშირებული. ასეთია ტარტუ, ესტონეთის საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელიც სასწავლებლად კიდევ რამდენიმე მიზეზის გამო არის მიმზიდველი. ბალტიისპირეთის ქვეყნებში იგი ერთადერთია იმ უნივერსიტეტებს შორის, რომელიც მსოფლიოს საუკეთესოთა 3 პროცენტში შედის. მისი ისტორია 1632 წლიდან იწყება, შვედეთის მეფის გუსტავუს ადლოფოსის მიერ არის დაარსებული. დღეისათვის ტარტუს შემადგენლობაში ცხრა ფაკულტეტი და ოთხი კოლეჯია. თანამშრომლობის ორმხრივი შეთანხმება კი 26 ქვეყნის 69 პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელთან აქვს. აქედან ერთ-ერთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. თსუ ტარტუს უნივერსიტეტის ექსკლუზიური პარტნიორია საქართველოდან.

„თსუ-სა და ტარტუს უნივერსიტეტს შორის აქტიური თანამშრომლობა 2006 წელს დაიწყო. ამ პერიოდიდან გვაქვს გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, რომლებსაც პერიდულად საჭიროების მიხედვით ვანახლებთ ხოლმე. ამას გარდა, 2010 წელს მივიღეთ შემოთავაზება გაგვეკეთებინა განაცხადი და გავერთიანებულიყავით ევრო-




გაგრძელება მე-2 გვ.

## „ქალი ძველი სახლიდან“ – თსუ-ს სტუდენტის პირველი წარმატება



საერთაშორისო კინოფესტივალზე – „სესილი“, საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში თსუ-ს სტუდენტმა გაიმარჯვა – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტის იზა თითბერიძის ფილმი „ქალი ძველი სახლიდან“ ჟიურიმ საუკეთესოდ დაასახელა.

„ფესტივალ „სესილიზე“ პრიზის აღება ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი და სასიხარული იყო, რადგან ეს იყო პირველი პრიზი, რომელიც ჩემმა ფილმმა აიღო. ვფიქრობ, ფილმმა მოწონება ორიგინალური გადაწყვეტისთვის მიიღო, რაც იმას გულისხმობს, რომ მასში არაა დიალოგები და ჩანაფიქრი მხოლოდ ქმედებითაა გამოხატული,“ – ამბობს გამარჯვებული სტუდენტი-რეჟისორი.

მოკლე ფილმების (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური) მეათე საერთაშორისო ფესტივალში ქართველებთან ერთად უცხოელი რეჟისორებიც მონაწილეობდნენ. სელექციის შედეგად 10 ნომინაციაზე სულ 75 ფილმი შეირჩა.

ფილმის „ქალი ძველი სახლიდან“ ქრონომეტრაჟი 5 წუთია. ფილმის რეჟისორი, მემონტაჟე და სცენარის ავტორია იზა თითბერიძე, ოპერატორია ბესარიონ ორმოცაძე, პროდიუსერია ნინო გელოვანი, როლებში – თამარ მამულაშვილი, გიორგი ჭელიძე, თორნიკე ხუროშვილი. ფილმი შექმნილია თსუ კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების ბაზაზე.

„თავდაპირველად მუშაობა დავიწყე დო-

გაგრძელება მე-4 გვ.

## უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერებისთვის

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დიდი ხნის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები მრავალი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, რომელთა შორის TEMPUS-ს ძალიან დიდი ადგილი უკავია.***

ევროკავშირის პროგრამა TEMPUS-ის მიერ დაფინანსებული პროექტი – SSRULLI-ის (Strengthening the Specific Role of Universities as LLL Institutions) “უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება“, როგორც დასახელებიდანაც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უნივერსიტეტების როლის გაძლიერებას ისახავს მიზნად. იგი 2014 წელს დაიწყო და ორი წლის განმავლობაში გასტანს. SSRULLI პირველი პროექტია საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების განვითარების მიმართულებით, რომელშიც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაა ჩართული. მისი წარმდგენი და კოორდინატორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

პროექტის ევროპელი პარტნიორები არიან: გრაცის კარლ ფრანცის სახელობის უნივერსიტეტი (ავსტრია), ჰამბურგის უნივერსიტეტი (გერმანია), ტალინის უნივერსიტეტი (ესტო-

გვ. 3

## სტიპენდია თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის




გვ. 3

## ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიატები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახელობის პირველი სტიპენდიატები დასახელდნენ.

გვ. 3

## შემოდგომის ლეგენდა 2014




გვ. 4

# ახალი გამოცემები – დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტისგან

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა გასულ თვეში თსუ-ს პუბლიკაციებს ორი წიგნი შემატა – „ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში“ და „მედიასამართალი“.

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი უნივერსიტეტელთა ბაზაზეა შექმნილი და მასში უნივერსიტეტის დოქტორანტები, მაგისტრები და დოქტორები არიან გაწევრიანებულები.

გამოცემის „ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში“ ავტორები არიან დავით მაკარიძე და გიორგი ხაზარაძე. ნაშრომის შექმნის მიზანი სახელმწიფო პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უკეთ წარმოჩენა და ანალიზია. წიგნში მოცემულია როგორც სამეცნიერო, თეორიული ინფორმაცია, ისე კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ზოგად ინსტიტუტთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხიმგებლობის საკითხს ჯანმრთელობის დაცვის სამართალში. ეს თემა, თავის მხრივ, ასევე დაუმუშავებელი და ქართული სამართლებრივი სინამდვილისთვის შეუსწავლელი თემების რიგს ეკუთვნის.

გამოცემის რეცენზენტია ასოცირებული პროფესორი, დოქტორი პაატა ტურავა, ხოლო რედაქტორი – დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ასისტენტ-პროფესორი ლიანა გიორგაძე.

რაც შეეხება მეორე გამოცემას – „მედიასამართალი“ მომავალი იურისტებისა და ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოა. წიგნი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მედიასამართლის დარგი, ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში; დემოკრატიულ სახელმწიფოში მედიის საქმიანობის სფერო; მედიასამართალი და ადამიანის ძირითადი უფლებები; რეკლამა და მისი სამართლებრივი ბუნება; მედიასამართალი და არჩევნები; დანაშაული და მედია; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მედიასამართალში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებანი მედიასამართალთან მიმართებით.

სახელმძღვანელოს ავტორები არიან სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე და ზურაბ მაჭარაძე. წიგნი მომზადებულია დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ეგიდით და გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების – GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით.



# სიახლეები

***

21 ოქტომბერს თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამართა აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალგაზრდულ სამეცნიერო კონფერენცია.

***

21 ოქტომბერს თსუ იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით სამართლის ისტორიის ქართულ-პოლონური IV სამეცნიერო სიმპოზიუმი გაიმართა. სიმპოზიუმში თსუ იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტის და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა, პოლონეთის რესპუბლიკის ქ. გდანსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა და მკვლევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

***

ფონდი ღია საზოგადოების მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ერთად მომავალი წარმატებისათვის“ რომელიც თსუ-ს ბაზაზე ხორციელდება, გაიმართა ორდღიანი ლექცია-ვორქშოფი ეკოლოგიაზე - თსუ-ს ეთნიკურ უმცირესობებისა და ქართველ სტუდენტებთან. ვორქშოფს თემატური გასვლითი აქტივობა: მცხეთის საპიკნიკე ტერიტორიის დასუფთავება და დასუფთავებულ ადგილას პიკნიკი მოჰყვა.

***

16 ოქტომბერს თსუ-ში ლექციების ციკლი დაიწყო ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, ბერნარ უტიემ.

***

ესექსის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორმა რენოს პაპადოპოულოსმა ჩაატარა ტრენინგი „მწუხარებაში მყოფ ადამიანებთან მუშაობა: ტრავმა, გამძლეობა, გამკლავება.“

# თსუ-ს ახალ აკადემიური საბჭო ჰყავს

*პირველი გვერდიდან*



როგორც თსუ აკადემიურ საბჭოს საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დემეტრე ეგნატაშვილი აცხადებს, "ერთადერთი პრობლემა ამ არჩევნების დროს, შემჭიდროვებული ვადები იყო. კონკურსი ძალზე დიდი არ ყოფილა. მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე იყო ოთხი კანდიდატი. ზოგ ფაკულტეტზე კი ორ ადგილზე სამი კანდიდატი მოდიოდა, რამდენიმე ადგილზე კი კონკურსი საერთოდ არ იყო. კანდიდატთა რეგისტრაცია სრული 7 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა“. კომისიას არაგონივრულად რთული პირობები არ დაუწესებია. კანდიდატების დასარეგისტრირებლად ფაქტობრივად მხოლოდ მათი კეთილი ნება იყო საკმარისი. თუმცა, ეს რა თქმა უნდა, არ ზღუდავდა კანდიდატს საკუთარი პროგრამის შემუშავების და გავრცელების კუთხით. ასევე აგიტაციის, საარჩევნო კამპანიის და ამომრჩევლებთან შეხვედრების კუთხით, რაც დარეგისტრირებული 19 კანდიდატიდან ფაქტობრივად სულ რამდენიმე პროფესორმა აწარმოა. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ ოპერატიულად ახლდებოდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც კანდიდატის ვინაობა პიროვნების მიერ რეგისტარციის შემდგომ ოპერატიულად ქვეყნდებოდა“.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაცია უნივერსიტეტს ტექნიკური აღჭურვილობით, კერძოდ საარჩევნო ურნებით დაეხმარა. კენჭისყრის უბნები ფაკულტეტების ადმინისტრაციულ შენობებში იყო განლაგებული. ყველა უბანი გაიხსნა და დაიხურა დათქმულ დროს. ქვეკომისიებმა შესვენების გარეშე იმუშავეს. მოლოდინის საწინააღმდეგოდ ამომრჩეველთა აქტივობა საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. ყველაზე აქტიური ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი იყო, სადაც 113 ამომრჩევლიდან 111 გამოცხადდა. ორმა, არჩევნებზე მისვლა კი საქართველოში არყოფნის მიზეზით ვერ შეძლო.

# თსუ – ტარტუს უნივერსიტეტის ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოდან

*პირველი გვერდიდან*



კავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ერთ-ერთი, მარი კიურის პროექტის „people to people exchange“ ფარგლებში კონსორციუმში. მასში ესტონეთი, ლიტვა და მოლდოვა არიან გაწევრიანებული. რადგან ჩვენი განაცხადი წარმატებული აღმოჩნდა, 2013 წლიდან 2017 წლამდე გვაქვს საშუალება, როგორც ახალგაზრდა, ისე უკვე აღიარებული მკვლევრები მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ 12 თვით ტარტუს, ვილნიუსის და მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტებში მივავლინოთ. პროექტის კოორდინატორი შინაარსობრივი, ადმინისტრაციული და ფინანსური კუთხით ტარტუს უნივერსიტეტის ევროკოლეჯია. ამ პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 20-მდე მკვლევარი გავგზავნეთ სამივე ქვეყნის უნივერსიტეტებში. დაახლოებით იგივე რაოდენობის მკვლევარი ჩამოვიდა ჩვენთან. მობილობაში ძირითადად მონაწილეობენ ის ასისტენტ-პროფესორები, რომლებიც მუშაობენ თავიანთი დისერტაციის დასრულებაზე ან ახალ კვლევაზე სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ და აინტერესებთ თავიანთ კოლეგებთან კონტაქტი ამ ქვეყნებში. პროექტი ამასთანავე ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლასაც. ცნობისათვის, ოქტომბერში უნივერსიტეტს სტუმრად ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი ეწვევა“, – აცხადებს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა.

„სტუდენტები საქართველოდან რაოდენობრივად ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითს მიეკუთვნებიან“, – აღნიშნა თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით ქართულ დელეგაციასთან შეხვედრისას ტარტუს უნივერსიტეტის ევროკოლეჯის დირექტორმა ქრისტინა ტონისონმა. 25 სექტემბერს ტარტუს უნივერსიტეტში ვლადიმერ პაპავამ საჯარო ლექცია წაიკითხა. ლექციის თემა: „ნეკროეკონომიკა და საქართველოს პოსტ-კომუნისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის გამოცდილება“ იყო.

ტარტუს უნივერსიტეტის ევროპის კოლეჯის აკადემიურ საკითხთა დირექტორის მოადგილე ოლგა ბოგდანოვა აცხადებს, რომ „საქართველო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის სტუდენტთა შორის მეორე ადგილზეა, რუსეთის შემდეგ. პროექტის არსი, რომელიც უკვე წელიწადნახევარია მიმდინარეობს, საქართველოს მხრიდან სამი ქვეყნის სხვადასხვა კუთხით ევროპული გამოცდილების გაზიარება გახლდათ, რომლის ერთ-ერთი ნაწილი განათლებაც იყო. ამ გამოცდილების მიღება კი საქართველოს მხარეს თავისი შეხედულებისამებრ პარტნიორი ქვეყნებიდან ნებისმიერ სასურველში შეუძლია, რათა განხორციელებულ რეფორმებს ადგილზე გაეცნოს. ეს აქტივობა, როგორც წესი სხვადასხვა, „ვორქშოფების“, საჯარო ლექციების, პუბლიკაციების და ა.შ. სახით ხორციელდება. თუმცა, რადგან პროექტის მიზანი კი ინფორმაციის ორმხრივად მიღებაა, ამას ხელს საქართველოდან პროფესორების ხანგრძლივვადიანი ვიზიტისას ჩატარებული სალექციო კურსიც შეუწყობს ხელს. მობილობა კი ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი საკითხია“.

თეა გერგედავას განცხადებით, პროექტის ფარგლებში უკვე ფინანსდება ერთი პროფესორის ნინო შარაშენიძის ხანგრძლივვადიანი მივლინება ლიტვაში, რომელსაც ვილნიუსის ენათა ცენტრი მასპინძლობს და სადაც იგი ქართულ ენას ასწავლის.

თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ბრემენის უნივერსიტეტის დოქტორანტი ნიკოლოზ ქოიავა ტარტუში მარი კიურის მივლინების სარგებლიანობის შესახებ ორი კუთხით საუბრობს. „ზოგადად, რადგან უნივერსიტეტებში ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის საკითხი მაინტერესებს და ამ მხრივ ჩემთვის ტარტუს უნივერსიტეტის გამოცდილებაც საყურადღებოა, რადგან შეგიძლია ნათლად ნახო თუ როგორ ხდება ოპტიმიზაცია. მეორედ ვიყავი ტარტუს უნივესიტეტში და ვხედავ რა სისწრაფით და შეუპოვარი ბრძოლით მიმდინარეობს რეფორმები. კერძოდ, პირველად რომ ჩამოვედი, პროგრამების ოპტიმიზაცია მიმდინარეობდა, მეორე ჩამოსვლისას უკვე ფაკულტეტები უქმდება და ადმინისტრაცია ერთიანდება. ძალზე საინტერესოა იმის დაკვირვება თუ როგორ ახერხებენ ამას, მით უმეტეს შიდა ადამიანურ ურთიერთობებში სადაც ყველა ფაკულტეტის თუ მხარის ინტერესის გათვალისწინებაა საჭირო. რაც შეეხება კონკრეტულ ნაწილს, მე უშუალოდ შეხება ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტთან მაქვს, რომლის კვლევის მიმართულებაცაა, „ინფორმაციული ასიმეტრიულობის აღმოფხვრა ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე და კაპიტალის ბაზრების განვითარება“. ესტონეთი ამ შემთხვევაში საქართველოზე წინ არის, რადგან ინსტიტუციური ცვლილებები გაცილებით ადრე დაიწყო, რის შესახებაც მე ჩემს ნაშრომებშიც მაქვს მითითებული. პროფესორ ტოომას ჰამდასთან ურთიერთობაში, კი რომელიც ბიზნესის და ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსური ანგარიშგების დეპარტამენტის ხელმძღვანელია, ჩემი კვლევის მიმართულება გავაძლიერე და გავაღრმავე“.

ტარტუს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი 3,9 ერთეულს ითვლის. თსუ ევროპათმცოდნეობის ინსტიტუტის დოქტორანტურის სტუდენტი ნინო ჯანელიძე ტარტუში, ასევე ევროპის კოლეჯის მიწვევით, სადოქტორო ნაშრომზე კვლევის ჩატარების მიზნით იმყოფებოდა. ნინო დარწმუნებულია, რომ ტარტუს უნივერსიტეტის, ცენტრალური ბიბლიოთეკის აკადემიურ ბაზაზე ხელმისაწვდომობა, აკადემიური ნაშრომები და წაკითხული ლიტერატურა თავისი თემის უკეთ გაანალიზებაში და სწორი მიმართულებით განვითარებაში დაეხმარება.

***სურათები მასალისათვის აღებულია ტარტუს უნივერსიტეტისა და მისი ევროპის კოლეჯის ფეისბუკის ოფიციალური გვერდებიდან***

# ნატოს ევროპული ძალების მთავარსარდალი თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

ძალზე მნიშვნელოვანი. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალოდ კომუნიკაციაში ყოფილიყვნენ ნატოს მაღალჩინოსანთან და პირველი წყაროდან მიეღოთ ინფორმაცია. კითხვები, რომელიც შეხვედრაზე დაისვა, საკმაოდ აქტუალური იყო ჩვენი ქვეყნისთვის და რეგიონისთვის. ვფიქრობ, ასეთი ტიპის შეხვედრები ძალზედ საინტერესოა და ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება, უნივერსიტეტის კარი ყოველთვის ღიაა მაღალი რანგის სტუმრებისათვის,“- განაცხადა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის თანამედროვე გამოწვევები და საფრთხეები, რომელთა წინაშეც ჩვენი ქვეყანა დგას, განხილული იყოს სწორედ ასეთი დონის სტუმრებთან ერთად. ასევე შევეხეთ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული და აისასის ისლამური სახელწიფოდან მომდინარე საფრთხეებს. გენერალი იყო მაქსიმალურად ღია, აქტიურად პასუხობდა შეკითხვებს და სთუდენტები ძალიან კმაყოფილი დავრჩით შეხვედრით,“ - აღნიშნა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, ირაკლი მაისაშვილმა. ღონისძიებაზე სტუმარმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა

# თსუ გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში მოღვაწე ინდუსტრიის წარმომადგენლებთან მემორანდუმებს აფორმებს



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში მოღვაწე ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. თანამშრომლობის მემორანდუმს შემოუერთდნენ დარგის განვითარებით დაინტერესებული არასამთავარობო და სამთავრობო ორგანიზაციები. ღონისძიებას დაესწრნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი, ბრისტოლის ბიზნეს დელეგაციის ხელმძღვანელი, ბრისტოლ-თბილისის ასოციაციის თავმჯომარე ბატონი დერეკ პიკაპი და დელეგაციის წევრი, ასევე KidsCo Bristol-ის – აღმასრულებელი დირექტორი ესტერ კელერ – პიკაპი.

აღნიშნულ თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 2007-2013 წლებში ევროკავშირის „ტემპუსის“ პროგრამით განხორციელებული პროექტების ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის (ქ.ბრისტოლი, პროექტის კოორდინატორი), ალიკანტეს უნივერსიტეტისა (პროექტის კოორდინატორი) და საქართველოსა და სომხეთის სხვა პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით.ღონისძიების მიზანია საქართველოში ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიების დარგის განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის გაღრმავება და თანამედროვე, ინოვაციური სასწავლო პროგრამების განხორციელება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, მათ შორის კვების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და აგრობიოტექნოლოგიების მიმართულებით. მემორანდუმის ფარგლებში ხელის მომწერი მხარეები შეთანხმდნენ კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ გამოყენებითი ბიომეცნიერებების დარგში უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე ახალი სასწავლო კურსების/მოდულების/პროგრამების შემუშავებას, დანერგვას, განხორციელებასა და პოპულარიზაციას; დასაქმების ბაზარზე სტუდენტების კონკურენტუნარიანობის გაზრდას მათი პროფესიული კომპეტენციებისა და ცოდნის გაღრმავებას; სტუდენტების საწარმოო/პროფესიული პრაქტიკის გავლას, სადიპლომო ნაშრომის შესრულებას ინდუსტრიის ბაზაზე; სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ ჩართვას სხვადასხვა სამეცნიერო/გამოყენებითი/ განვითარების პროექტებში; წარმატებული სტუდენტების მხარდაჭერას წამახალისებელი ღონისძიებების ორგანიზების გზით; ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

# ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიატები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახელობის პირველი სტიპენდიატები დასახელდნენ. ისინი სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის თავმჯდომარეობით, 12 პრეტენდენტიდან შეარჩია. 2014 წლის სტიპენდიატები არიან: მარიამ მათიაშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტი; მაგული ღამბაშიძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მე-3 სემესტრის სტუდენტი; ლევან ბებურიშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მე-3 სემესტრის სტუდენტი. სტიპენდია მხოლოდ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის დააწესა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. 2014 წლის 22 მაისს საქართველოს პრეზიდენტსა და უნივერსიტეტს შორის შესაბამისი მემორანდუმიც გაფორმდა.

„ძალიან მიხარია ამ სტიპენდიის მიღება, არ ველოდი ნამდვილად. პირველ რიგში, ძალიან დიდი სტიმულია ჩემთვის. რაც მთავარია, საპატიოა და საპასუხისმგებლო, რომ პირველი პრეზიდენტის პირველი სტიპენდიატი გავხდი. ამან გაზარდა ჩემი მოტივაცია“, – ამბობს მარიამ მათიაშვილი. იგი თვლის, რომ ქართული ფილოლოგიის შესასწავლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკეთესო ადგილია: „მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემაა, ბევრს ვსაუბრობთ სტუდენტები ამის შესახებ, მაგრამ ყველას ალბათ მაინც სიამაყის გრძნობა გვაქვს. ჩვენ ხომ თსუელები ვართ... ვფიქრობ, თსუ გამორჩეულია, პირველი უნივერსიტეტია (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით)“. მაგული ღამბაშიძე იმ სტიპენდიატებს შორის მოხვდა, ვისაც გასულ წელს ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა: „დიდი ბედნიერებაა, როცა ვგრძნობ, რომ სახელმწიფო და მშობლიური უნივერსიტეტი აფასებს ჩემს შრომასა და მონდომებას. ყოველთვის მზად ვიყავი საყვარელი პროფესიის დაუფლებისას გამეღო ჩემი მონაცემებისა და შესაძლებლობების მაქსიმუმი, შემეტანა ჩემი ახალგაზრდული წვლილი ქართველურ ენათმეცნიერებაში. როგორც ჩანს, ჩემმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და მომენიჭა კიდეც პირველი პრეზიდენტის სახელობის სტიპენდია“, – ამბობს იგი.

„ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის პირველი მფლობელი. ეს ჯილდო მაკისრებს დიდ პასუხიმსმგებლობას, რომ მომავალში მთელი ენერგიით ვიღვაწო ქართული მეცნიერებისა და კულტურის ასპარეზზე. ვფიქრობ, რომ სტიპენდია მომენიჭა წლების განმავლობაში წარმოებული კვლევითი აქტივობების საფუძველზე, ვინაიდან კომისია სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით აფასებდა აპლიკანტებს. ვამაყობ, რომ ვარ თსუ-ს სტუდენტი. თსუ თავისი აკადემიური პერსონალითა და სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი კომპონენტების მიხედვით, ნამდვილად არის 1 უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში, სწორედ ამიტომ შევაჩერე არჩევანი თსუ-ზე“, – ასეთია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მე-3 სემესტრის სტუდენტის ლევან ბებურიშვილის დამოკიდებულება პრეზიდენტის სტიპენტიანტობასა და თავად თსუ-სთან დაკავშირებით.

ზვიად გამსახურდიას სტიპენდია ენიჭება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითო სტუდენტს, წინა სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე.



*მარიამ მათიაშვილი*



*მაგული ღამბაშიძე*



*ლევან ბებურიშვილი*

# სტიპენდია თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტათვის

კერძო იურიდიული კომპანიის ინიციატივით თსუ იურიდიული ფაკულტეტის ორ სტუდენტს ერთწლიანი სტიპენდია დაენიშნათ. 17 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფირმა „MKD“-ის (მგალობლიშვილი-ყიფიანი-ძიძიგური) სტიპენდიისა და ესეების კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. იურიდიული ფირმის წარმომადგენლებმა იურიდიული ფალკულტეტის 2 სტუდენტს სტიპენდიები გადასცეს. ღონისძიებას თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული და იურიდიული ფირმის „MKD“ წარმომადგენლები დაესწრნენ. ფირმამ მიმდინარე წელს თსუ იურიდიული ფაულტეტის სტუდენტთათვის 1 წლის ვადით სასწავლო სტიპენდიები დააწესა. სტიპენდიის ოდენობა თვეში 100 ლარს შეადგენს. აღნიშნული სტიპენდიის შესახებ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს თსუ-ში გამართულ საჯარო შეხვედრაზე ეცნობათ, რომელსაც „MKD“-ის მმართველი პარტნიორები ესწრებოდნენ. სტიპენდიის მომპოვებელ ბაკალავრიატის სტუდენტთაგან აკადემიური მოსწრებისა და სხვადასხვა სამეცნიერო (კონფერენციები, პროექტები, სტატიების გამოქვეყნება) აქტივობების მიხედვით ბაკალავრიატის 19 სტუდენტი, ხოლო ესეების კონკურსისთვის 5 მაგისტრანტი შეირჩა. მათ გაიარეს გასაუბრება შესაბამის კომისიასთან, რომელმაც თითო-თითო გამარჯვებული გამოავლინა. წელს იურიდიული ფირმის „MKD“-ს სტიპენდიანტი გახდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი გიორგი ნაკაშიძე, ხოლო ესეების კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტები გიორგი კაპანაძე და სიმონ ტაკაშვილი.

# უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერებისთვის

***პირველი გვერდიდან***

ნეთი). პროექტის პარტნიორები რეგიონიდან არიან: აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია; Dvv international – საქართველო, ხაზარის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი); კავკასიის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), აზერბაიჯანის ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, ჰოვანეს თუმანიანის სახელობის ვანაძორის პედაგოგიური ინსტიტუტი (სომხეთი, ბრიუსოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო ენების უნივერსიტეტი (სომხეთი), Dvv international – სომხეთი.

პროექტის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩატარდა პოტენციალის კვლევა და მიმდინარეობს უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიებზე მუშაობა. ამ მიმართულებით პარტნიორი უნივერსიტეტების მორიგი შეხვედრა თბილისში 20-21 ოქტომბერს ჩატარდა, რომლის განმავლობაშიც ევროპელი ექსპერტებმა ბენეფიციარი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს სტრატეგიების სამუშაო ვერსიებზე თავის დასკვნები გააცნეს და მისცეს სამომავლო რეკომენდაციები.

უწყვეტი განათლების სისტემების განვითარების სტრატეგიების შემუშავების პარალელურად, პროექტის ფარგლებში რამდენიმე ეტაპად ხორციელდება უნივერისტეტის თანამშრომელთა გადამზადება. სწორედ ამ მიზნით გაიმართა 22-23 ოქტომბერს ტრენინგი უწყვეტი განათლების ცენტრების თანამშრომლებისათვის. მისი თემა: „უწყვეტი განათლების ორგანიზაცია და განვითარება“ გახლდათ. სწავლებას გაუძღვება გრაცის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი, ევროპული უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის პრეზიდენტი დოქტორი ანდრეა ვაქსენეგერი.

როგორც პროექტის ავტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი ქეთი ცინცაძე აცხადებს, "უფრო ადრე გამართულ პირველ სამუშო შეხვედრაზე დაიგეგმა სამომავლო აქტივობები, სამუშო ვიზიტები ორ ევროპულ პარტნიორ უნივერსიტეტში – ჰამბურგსა და გრაცში და ბენეფიციარი უნივერსიტეტების თანამშრომლების ტრენინგები სტრატეგიების მომზადებისა და ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურის განვითარება პარტნიორ უნივერსიტეტებში. შეიქმნება და დაინერგება უწყვეტი განათლების კურსები (სფერო, ხანგრძლივობა და სხვა დეტალები შესაძლოა განსხვავებული იყოს ყოველ პარტნიორ უნივერსიტეტში მათი სფეციფიკიდან გამომდინარე), შეიქმნება საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების (ULLL) რეგიონალური ქსელი, რომელიც უნდა იქცეს რეგულარული დიალოგისა და ინფორმაციის გაცვლის პლატფორმად რეგიონში უწყვეტი განათლების შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ. პროექტის დასრულებისას გამოიცემა სახელმძღვანელო რეგიონში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ორგანიზების შესახებ“.

# სიახლეები

***

17 ოქტომბერს თსუ-ში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი“ და ზოგადად „კონფლიქტების მართვა“. საჯარო ლექცია გაიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრის „სერჟანტთა სამეთაურო-საშტაბო კურსის“ მსმენელებისთვის.

***

16 ოქტომბერს თსუ-ში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ღვიძლისა და პანკრეასის/ლანგერჰანსის კუნძულების ტრანსპლანტაცია - ორგანიზაციული, იურიდიული, კლინიკური და სამეცნიერო ასპექტები“. სიმპოზიუმი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით იყო ორგანიზებული. მასში მონაწილეობა მიიღეს გერმანიიდან, შვეიცარიიდან, აშშ-სა და თურქეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა.

***

15 ოქტომბერს კომპანია „ ლსევიერ“-ის წარმომადგენლებმა თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტთან ერთად, თსუ-ს თანამშრომლებისთვის ჩაატარეს სემინარი „ ლსევიერ“-ის მიერ შემოთავაზებული პროდუქტების, კერძოდ შცოპუს და შციენცე ირეცტ, მოხმარებისა და შესაძლებლობების შესახებ.

***

15 ოქტომბერს თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო განყოფილებამ გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე: "1924 წლის აჯანყება. ეპოქა და სინამდვილე". მრგვალი მაგიდა მიეძღვნა 1924 წლის აჯანყების 90 წლისთავს.

***

13 ოქტომბერს თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამირების განყოფილების თანამშრომელს, საინფორმაციო ბაზების პროგრამისტს, ბატონ გურამ აროშიძეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი გადაეცა - 75 წლის იუბილისა და უნივერსიტეტში ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის აღსანიშნავად.

# სიახლეები

***

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში მსოფლიოში გაფანტულ თანამემამულეთა ორგანიზაციის „ქართველ ემიგრანტთა მსოფლიო ლიგის“ პრეზენტაცია გაიმართა. ორგანიზაცია „ქართველ ემიგრანტთა მსოფლიო ლიგის“ მიზანია ხელი შეუწყოს კავშირის გამყარებას ძველსა და ახალ ემიგრაციას შორის.

***

9 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებისათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია გაიმართა. სასწავლო კურსის „სამაუწყებლო მედია ტელევიზია 1“ ფარგლებში სტუდენტთა ჯგუფმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ანტინარკოტიკულ კამპანიაში – „არა ბიონარკოტიკს“ მიიღეს მონაწილეობა და სოციალური კლიპიც გადაიღეს.

ღონისძიებაზე კლიპის პრემიერა შედგა და ანტინარკოტიკული კამპანიის პროცესში სტუდენტების ჩართულობის ამსახველი ფოტოებიც გამოიფინა.

***

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია გაიხსნა. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ინიციატივის შესაბამისად გადაწყდა, რომ უნივერსიტეტის მე-10 (ე.წ. „მაღლივი“) კორპუსის 208-ე აუდიტორიას მიენიჭოს დიდი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელი.

***

9 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა საერთაშორისო ევროპული ინსტიტუტების კოალიციის: ევროპულ-ქართული საერთაშორისო მოძრაობასა და ევროპულ-ქართულ საზოგადოებასთან. მემორანდუმს ხელი თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ევროპულ-ქართული საერთაშორისო მოძრაობის პრეზიდენტმა ნესტან კირთაძემ, ევროპულ-ქართული საზოგადოების პრეზიდენტმა ანა რეხვიაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის თანახმად, მხარეები იზრუნებენ უნივერსიტეტის საზღვარგარეთ სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონტაქტების გაღრმავებაზე, რაც გამოხატული იქნება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობაში; ერთობლივად მოაწყობენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამუშაო შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს.

***

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა მხატვარ მალხაზ კუხაშვილის პერსონალური გამოფენა „გააგრძელე საქართველოს ისტორია“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დოკუმენტური ტელესერიალის „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ ესკიზები.

***

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „დოიჩე ველე“ აკადემიის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მეორე საერთაშორისო კონფერენცია მედია სამართალში: „მედიის კანონი 2014. ქართულ-ევროპული პერსპექტივები“ გაიხსნა. კონფერენცია საზეიმოდ გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და გერმანელმა პროფესორებმა, სტუდენტებმა, ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა.

***

7 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა თსუ ასისტენტ პროფესორის მიხეილ ბარნოვის საჯარო ლექცია თემაზე „ინდეს ბილიკებით“. მიხეილ ბარნოვმა ლექციაზე თსუ აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია ნიუ მექსიკოში (აშშ) მესკალერო აპაჩების რეზერვაციაში გატარებული პერიოდის შესახებ; ისაუბრა აპაჩების ცხოვრების წესზე, თანამედროვეობაზე, ტრადიციებზე, ისტორიაზე, ინდიელთა გამოჩენილ ბელადებზე. მიხეილ ბარნოვი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით 2014 წლის ივლის-აგვისტოში იმყოფებოდა აპაჩების რეზერვაციაში, სადაც ტომის უხუცესმა მას დაარქვა დინე ჰასტინე (აპაჩი ძმა) და უწოდა სახელი სუუს სპინი (დილის ვარსკვლავი). ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ფოტო, ვიდეო და აუდიომასალა აპაჩების ტომის ცხოვრების წესის შესახებ.

***

7 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროსთან, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმების თანახმად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო შექმნის პირობებს სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატებისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, პრაქტიკის გასავლელად, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურაში. თავის მხრივ უნივერსიტეტები შეძლებენ ახალი არჩევითი კურსის საშუალებით სოციალური მუშაობის სამაგისტრო სწავლების სტუდენტებს შესთავაზონ საბაზისო ცოდნა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სოციალური მუშაობის საუკეთესო გამოცდილების შესახებ. მემორანდუმის ფარგლებშივე იგეგმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკების მომზადება უნივერსიტეტების ბაზებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტები მოამზადებენ სოციალური მუშაკების კვალიფიციურ კადრებს სასჯელაღსრულების სფეროში დასასაქმებლად.

# შემოდგომის ლეგენდა 2014




სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა – 2014“ გუშინ კახეთში ყველაზე მასშტაბური სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის იმპროვიზაციული ტურითა და დაჯილდოების საღამოთი დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა 10-მა ფინალისტმა მიიღო. ისინი შიდა შესარჩევმა ჟიურიმ გასულ კვირას გამოავლინა:

1. ლუკა გორდაძე – „ნუარი მკვდარია“ (თავისუფალი უნივერსიტეტი)
2. თათია დოლიძე – „ვარსკვლავთმრიცხველი“(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
3. ტუხა კვინიკაძე – „ქალები კვდებიან ჩუმად“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
4. ირინა კომახიძე – „უსათაურო“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
5. ანი ლაზვიაშვილი – „სიზმრების გადაფრენა“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
6. ქეთევან მეფარიძე – „უდაბნოს სიზმარი“ (საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ჯიპა)
7. ნინო მოდებაძე – „ჰანას მოსაგონად“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
8. ნათია სოყურაშვილი – „მივიწყებული სიზმრების ღამე“ (ტექნიკური უნივერსიტეტი)
9. თამარ ქამუშაძე – „უცნობი ბოისკაუტი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
10. დავით ცარიელაშვილი – „ემა“ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტი – სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ წელს მეექვსედ ჩატარდა. 6 წლის განმავლობაში კონკურსის ორგანიზატორები დამწყებ მწერლებს სთავაზობენ გამოსცადონ თავიანთი ძალები იმპროვიზაციულ ტურში, სადაც გამოგონილი პერსონაჟების ქაღალდზე გადატანისთვის კომფორტული გარემოა შექმნილი.

წელს კონკურსში თბილისთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ჩაერთნენ. პირველ ტურში მონაწილეობას იღებდა 268 კონკურსანტი 20 სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის ბათუმის, ქუთაისის, გორის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან.

მასშტაბების ზრდასთან ერთად ლეგენდა არეალსაც აფართოებს, ყველას ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში შეუძლია ჩაერთოს ლეგენდის იმპროვიზაციული ტურის პარალელურად მიმდინარე ონლაინ მარათონში. „ჯეოსელის“ სპეციალური აპლიკაციის დახმარებით ნებისმიერ მონაწილეს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია ახალი ნაშრომის გამოგზავნა, გამარჯვებული „ჯეოსელის“ სპეციალურ პრიზს მიიღებს.

წელს „ლეგენდას“ ილიას მთაზე მდებარე იუსტიციის სასწავლო ცენტრმა უმასპინძლა. იმპროვიზაციულ ტურში მონაწილეობა 10-მა ფინალისტმა მიიღო, რომლებიც ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე 12 საათის განმავლობაში ახალ ნაშრომს ქმნიდნენ.

გამარჯვებულების გამოვლენა კონკურსის ლიტერატურულ ჟიურის დაეკისრა, რომელსაც მწერლები: დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, ბასა ჯანიკაშვილი, ლიტერატურათმცოდნე ლევან გიგინეიშვილი და შარშანდელი გამარჯვებული ბექა ადამაშვილი შეადგენდნენ.

კონკურსში გამარჯვებული სამი ავტორის შესახებ დეტალურ ინფორმაციას, მათი ნაშრომებითა და ინტერვიუებით მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

კონკურსის საინფორმაციო მხარდამჭერია ბეჭდური და ონლაინ გამოცემა „ლიბერალი“, რომელიც გამარჯვებული ავტორის ნაშრომს გამოაქვეყნებს.

# „ქალი ძველი სახლიდან“ – თსუ-ს სტუდენტის პირველი წარმატება



კუმენტურ ფილმებზე და უნივერსიტეტის პროფესორების პორტრეტებზე, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძის მხარდაჭერით ხორციელდებოდა. მესამე კურსზე სწავლის პერიოდში კი დამავალეს დამეწერა სცენარი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ არ გვაქვს მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადავწყვიტე, ფილმში არ ყოფილიყო არც დიალოგი და არც მონოლოგი. ფილმს, რომელიც გადავიღე, ეწოდება „ქალი ძველი სახლიდან“ და მასში ასახულია მარტოსული ქალის რუტინული ცხოვრება. ის ყოველდღე აკეთებს ერთსა და იმავეს იმისთვის, რომ თავის საყვარელ ადამიანთან იყოს ახლოს, მიუხედავად იმისა, რომ ის მასთან ერთად აღარ არის,“ – ასე იხსენებს გამარჯვებული იზა თითბერიძე ფილმის შექმნის ისტორიას.

როგორც წარმატებული დებიუტანტი რეჟისორი გვიყვება, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან იტაცებდა კინო და ტელევიზია, აბიტურიენტობისას გადაწყვიტა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩაებარებინა. თუმცა საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ჰუმანიტარული ფაკულტეტის 32 საბაკალავრო პროგრამის ჩამონათვალის გადახედვისას არჩევანი ბავშვობის ოცნების ახდენის სასაგრებლოდ გააკეთა:

„ჩამონათვალის ნახვისთანავე გადავწყვიტე, რომ ბავშვობის ოცნება ამეხდინა და ავირჩიე კინო-ტელე ხელოვნების მიმართულება. ამ სპეციალობაზე სწავლის გასაგრძელებლად გავიარე შემოქმედებითი ტური და დღეს ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ პროგრამაზე ვსწავლობ. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ მიმართულების ხელმძღვანელია მერაბ კოკოჩაშვილი – ერთ-ერთი უდიდესი ქართველი რეჟისორი, ჩემი უშუალო პედაგოგები კი სანდრო ვახტანგოვი, ნინო გელოვანი და ბესო ორმოცაძე, რომლებიც დიდი პროფესიონალიზმითა და გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარით გამოირჩევიან,“ – აღნიშნავს თსუ მე-4 კურსის სტუდენტი. იზა თუთბერიძეს გადაწყვეტილი აქვს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე მხატვრული კინოს რეჟისურის განხრით – საზღვარგარეთის რომელიმე უნივერსიტეტში. თუმცა, საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლას არ გეგმავს. როგორც თვითონ აცხადებს, უნდა თავისი მომავალი ფილმები საქართველოში გადაიღოს. კარიერას რაც შეეხება, სწავლის დამთავრების შემდეგ, აპირებს გადაიღოს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები და წარმატებას მიაღწიო სარეჟისორო საქმიანობაში.

„კინო-ტელე ხელოვნების მიმართულებაზე სწავლა სტუდენტისაგან მოითხოვს კრეატიულობას, შრომისმოყვარეობას, ინტელექტს და მოტივაციას. იზა გამოირჩევა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით და, რაც მთავარია, ამბავს ყვება შემოქმედებითი წარმოსახვით. ის აქ ეუფლება კინოს ენას. ჩვენთვის სასიხარულოა, როცა სტუდენტი მონდომებულია და აქვს სურვილი შექმნას რაიმე ფასეული. მე მჯერა, რომ იზა თავის სიტყვას ღირსეულად იტყვის, რადგან მას აქვს სურვილიც და უნარიც იმისათვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს, – ასე ახასიათებს წარმატებულ სტუდენტს მისი პედაგოგი და ფილმის პროდიუსერი ნინო გელოვანი.

ფილმი „ქალი ძველი სახლიდან“ პირველად მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალზე „ამირანი“, შემდეგ კი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე „სესილი“. ამჟამად ფილმი გაგზავნილია ბულგარეთის სტუდენტურ ფესტივალზე, სელექციის შედეგი თვის ბოლოს გახდება ცნობილი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge